№ 44
შაბათი, 28 თებერვალი, 1898 წ.

1877—1898

ივერია

№ 44
შაბათი, 28 თებერვალი, 1898 წ.

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძველის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობითი:
ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½, საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ს. გ. გურგო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობითი:
ს. მ. ბუდანოვი. 6—7 საათ შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.
დარეკტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისს ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (ᲬᲐ)

მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნა: არსენ ივანეს ძე ჩიხლაძე—ბათუმის მომრიგებელად სასამართლოს კანცელარიის მოსაყალად; მანს სულაძე—ტფილისის სამაზრო საპოლიციო მმართველობის კანცელარიის მოსაყალად.

ფილოქსერით დაავადებული ვენახები

(დასასრული *)

სოფ. ჯვართ-მუხაში—ბესარიონ ლომიძეს ვენახი; სოფ. პატარა-თამარაშენში—კ. თამარა ფალავანდიშვილის ვენახი; ცხინვალის ნაწილის სოფ. ხეთაში—ვენახები: სტეფანე გრიქუროვისა, ანდრო ბუგიანიძისა, დარიი ხუთაგუროვისა, როსება მაჭავარიანისა, ივანე გოგიჩაშვილისა და გიორგობა ოვანოვისა ძმებით; სოფ. წუნარში—ვენახები: როსტომ მაზიაშვილისა, მაქსიმ ბეგელურისა, ალექსანდრე გობარაშვილისა, ხვთისო ჯიოშვილისა, მალხაზ და ივანე ბეგელურისა, დ. ცხინვალში—ვენახები: დავით ჯანაშვილისა, გიგო ნადიმოვისა ძმებით და რიფსიმე ტარ-სტეფანოვისა. ბორჯომის ნაწილის სოფ. კურტანეტში—დათა გოტაძის ვენახი; სოფ. ქვიშხეთში—ვენახები: მალხაზ, ანდრია, ზაქარია, ალექსი, გლახო და ვანო სუტიაშვილებისა, გრიგორი ლოკანიძისა, სოლომონ ყიფიანისა, პეტრე, ნდრო და გოგია ლაკაბიძისა, მალხაზ გომარელისა, ალექსი და ზაქარია გოგაძისა, ოქროპირ აბრამაშვილისა, სოლო კალიაშვილისა, ლექსო და სვიმონ ცუცქირიძისა, გიგო ბლუაშვილისა, ლუკა, თევდორე, კიმოთე, სოსიკა, გბო, ალექსი და კოკო ქედლაშვილებისა; სოფ. ბერის-საყდარში—ვენახები: დათა, მერმან და ბიბეი ბლიაძეთა; სოფ. ტაშის-კარში—გიგო მაჭარაშვილის ვენახი, სოფ. ბულბულის-ციხეში—ლუარსაბ ყიფიანის ვენახი.

ამას გარდა კომიტეტმა ფილოქსერის მხრივ საეჭვო ადგილებად იცნო ქუთაისის გუბერნიაში რაჭის მაზრის დანარჩენი ადგილები, ფოთის მიდამოები, ბათუმის ოლქი, კოდორისა, სამურზაყანოსა და სოხუმის ოლქები; ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სურამისა და ცხინვალის ნაწილები და ბორჯომის ნაწილის სოფ. ქვაშხეთი, ახალდაბა, ტაშის-კარი, სავანლის-ხევი, სატევე, ზანავი და კურტანეთი.

ახალი ამბავი

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 26 თებერვალს, ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ ტფილისის რაზმის კაპიტანი თავ. მაყაშვილი დანიშნულ იქმნა ამავე რაზმის პოდპოლკოვნიკადაო.

ᲜᲐᲪᲘᲐ ᲕᲔᲓᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲠᲝᲡᲚᲔᲡᲙᲘᲡ მოკვლის შესახებ ცნობა მოვიდა ტფილისში, რომ უმართებელესმა სენატმა გაიუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი, რომლითაც გამართლებულ იქმნა ბაკიხანოვი, და აგრეთვე არ შეიწყნარა საჯაველაციო საჩივარი ფატახისა და მეშადი-მამედის ვექილთაო.

ᲛᲘᲬᲐᲗ-ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ კავკასიაში მოგზაურობის დროს გაიცნორა სუხუმისა და სოჩის სასოფლო-სამეურნეო და საბალონსო სადგურების ყოფა-მდგომარეობა, საკიროდ იცნო განსაკუთრებულ საბჭოს დაარსება, რომელმაც ამ სადგურების მოქმედების გასაფართოებლად ახალი პროგრამმა უნდა შეიმუშავოს. საბჭოს თავმჯდომარეობა მინისტრმა თავიის რწმუნებულს ბ-ნს მედვედევს მიანდო. ბ-ნმა მედვედევმა საბჭოში მონაწილეობის მისაღებად უნდა მიიწვიოს სუხუმისა და სოჩის სადგურების მმართველნი, კავკასიის ერთ-ერთი აგრონომი და ზოგიერთნი სხვანი. ამათ გარდა, მოწვეულ იქმნება ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების მმართველიც.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲘᲬᲔᲠᲗᲐ კრება ექმნება 3 მარტს. საზოგადოების საბჭომ კრებას უნდა წარუდგინოს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯთ-აღრიცხვით გამოანგარიშებულია, რომ საზოგადოებას 11,000 მან. შემოსავალი უნდა ჰქონდეს, ხოლო ხარჯი 10,000 მან.

ᲒᲐᲖ. „Нов.“ ᲬᲔᲠᲡ, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განწყობაზე აქვს კავკასიის ტყის წარმოებას მოჰკიდოს ხელი და ამ აზრით კავკასიის სახელმწიფო ტყეებში ხე-ტყის გასატანად გზები იქმნება გაყვანილია.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲐ“ ᲬᲔᲠᲡ: „ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ ყურადღება ქალაქის გამგეობისა იმ უწესოებას, რომელსაც ტფილისის მეყასბეები სჩადიან. დადგა თუ არა დიდმარხვა, მეყასბეები ნიხრის მომატებას არ დასჯერდნენ და 2—3 კაპიკით მეტს იღებენ. თუ მეყასბეებს ნება აქვთ რამდენიც უნდათ იმდენი აიღონ ხორცში, მაშინ ნიხრი და სავაჭრო-სამეურნეო პოლიცია რიღასთვის არის დაწესებული?“

ᲒᲐᲖ. „ᲜᲝᲠ-ᲓᲐᲠᲘ“ ᲐᲢᲧᲝᲛᲝᲜᲘᲗᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘᲜᲓᲒᲐᲜ, რომ სომეხთა კათალიკოსმა მკრტიჩ I-მა შუამდგომლობა დაიწყო, სადაც ჯერ არს, რომ ნება მომეცით მოლაპარაკება დავიწყო კონსტანტინეპოლის რუსეთის ელჩ ზინოვიევთან ომიალეთის ქვეშევრდომ სომეხთა უკანვე დაბრუნების შესახებ რუსეთის იმპერიიდანაო“.

Д. ᲪᲮᲘᲜᲯᲐᲫᲔ. 22 ამა თებერვალს ადგილობრივ საზოგადოების თანადასწრებით დ. ცხინვალში პატივცემულ ბლაღოჩინ-მღვდლის მანასე კაპანაძის მიერ გარდახდილ იქმნა საქართველოს მეფე ერეკლის ასის წლის სახსოვრად პანაშვიდი. პანაშვიდის შემდეგ მანვე განუმარტა მოკრებულ დამსწრეთ მისი ღვაწლი საქართველოს მიმართ.

ᲡᲝᲤ. ᲠᲝᲠᲑᲐ (სამეგრელო). 22 თებერვალს სოფ. რობის მაცხოვრის ეკლესიაში მამა გრიგოლ ცომაიასაგან გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი საქართველოს მეფის ერეკლე II-ს სულის მოსახსენებლად, რომლის გვამის დაკრძალვის შემდეგ შესრულდა ასი წლეულადი, და თავისის მხურვალე გულით ლოცვა დამსწრეთ შეუერთეს საზოგადოდ საქართველოში გარდახდილს წირვა-ლოცვასა. წირვის შემდეგ მამა გრიგოლმა დამსწრე საზოგადოებას მოკლედ, მაგრამ სავსებით აუხსნა, თუ რა ღვაწლ-შემოსილი და სახელოვანი, ერისათვის თავ-დადებული მეფე დაჰკარგა საქართველომ ამ ასის წლის წინად.

ᲡᲝᲤ. ᲯᲕᲐᲠᲬᲛᲘ (ᲒᲣᲠᲘᲐ). 22 თებერვალს ჯვარცხმის მაცხოვრის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დეკანოზის ანდრია ტ მღვდლის ილარიონ მგალობლიშვილებთაგან (მამა და შვილი არიან) ნეტარ ხსენებულის ბერთა-გმირის საქართველოს მეფის ირაკლის გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად. წირვასა და პანაშვიდს დაესწრო ამ ეკლესიის მრევლი ყველა სქესისა და წოდებისა. დიდათ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მამათ მგალობლიშვილებმა ძვირფასის მეფის ღვაწლის შესახებ. მსმენელთ ცრემლი მოსდიოდათ და მხურვალე ლოცვა ვედრებით შეავედრეს უზენაესს მეუფეს ძვირფასისა და დაუვიწყარის მეფის სული. ორ პირად ჰგალობდა ქართულად ხორო.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. 22 თებერვალს ქუთაისის საკვირაო სასწავლებელმა სათავად-აზნაურო სასწავლებელში გარდაიხადა პანაშვიდი მეფე ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. სასიამოვნო შესახედავი იყო სამსაზედ მეტი მოსწავლე საკვირაო სასწავლებლის, რომელნიც გულ-დასმით უსმენდნენ მამა ლეონიდეს. პატივცემულმა მღვდელმა პანაშვიდის შემდეგ ბავშვების მიმართ „შვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში მან დაუხასიათა მოსწავლეთ ერეკლე მეორის ცხოვრება და მნიშვნელობა. აღნიშნა, როგორა ჰზრუნავდა ზნეობის გამშვენიერებისათვის თავისს საშეფოში, როგორ სცდილობდა, რომ ევროპიული წესები შემოეღო ჩვენში და გონებით წინ წაეწია საქართველო იმ გაჭირვებულ დროს. დასასრულ აღნიშნა მეფე ერეკლე როგორც სარდალი და მეომარი.

ამის შემდეგ წაკითხულ იქმნა „ასპინძის ომი“ გოგებაშვილისა და „საფლავი მეფე ირაკლისა“ ლექსი ნ. ბარათაშვილისა. საკვირაო სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა გარდა, ამ პანაშვიდს დაესწრნენ სხვა ბევრი კერძო კაცნი და ყველანი დიდად ნასიამოვნები დაბრუნდნენ შინ. განსაკუთრებით მოეწონათ ყმა. წვილებს „ასპინძის ომი“, რომლის ყიდვაც ისურვა ბევრმა და ფასიც იკითხა. კარგი იქნებოდა, რომ საკვირაო სკოლას დაერიგებინა ბავშვებისათვის წიგნაკი, „ერეკლე მეორე“, მაგრამ სად შესძლებს ამას საკოდავი საკვირაო სკოლა, რომელსაც საზოგადოება არავითარს ყურადღებას არ აქცევს და არ ეხმარება. ცუდი არ იქნება, რომ ამ გარემოებას ცოტა მაინც ათხოვოს ყური ქუთათურმა საზოგადოებამ და შეეწიოს საკვირაო სკოლას, რომელიც კარგს ნიადაგზედ არის დამყარებული და ბევრს კეთილს შეიძლებს, თუ საზოგადოებაც დაეხმარება.

ᲡᲝᲤ. ᲬᲘᲜᲓᲐ (ახალციხის მაზრა). დღეს, 22 თებერვალს, ზველის წმ. გიორგის ეკლესიაშიც გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ჩვენს დაუვიწყარის მეფის ერეკლე II სულის მოსახსენებლად. პანაშვიდამდე ადგილობრივმა მღვდელმა მამა ეფ. ინასარიძემ მოკლედ და მდაბიურად აუხსნა გლეხებს ერეკლეს ღვაწლი და გმირობა სამშობლოსათვის თავგანწირვა. წირვასა და პანაშვიდზედ საეკლესიო სამრევლო სკოლის მოსწავლენი საკმაოდ მწყობრად ჰგალობდნენ. გლეხობა—კაცი თუ ქალი ბლომად დაესწრო; ყველანი ხელში ანთებული სანთლით ავედრებდნენ მიცვალებულს უფალსა. აქაურ ხალხს ყველას გაგონილი აქვს მამა-პაპათაგან ასპინძის ომი, რადგან ასპინძი ზველს 12 ვერსით ჰშორავს. 40 წლიწადი იქმნება, რაც გარდაიცვალა აქ სოფ. ერკოტაში ერთი ღრმად მოხუცებული ქართველი, სვიმონ ტივაძე. ის იტყოდა ხოლმე, მე მოვესწარ ასპინძის ომაო, კარგა მოზრდილი ვიქმნებოდი, ასე 15-16 წლისა, სხვებთან ერთად ერკეტის სერებიდგან (სამი ვერსია ასპინძიდგან) გადავცქეროდით ომს. ერეკლეს ჯარმა რომ კიბინა დასცა და შეუტია, მტრის ჯარი დაეშვა დაბლობისკენ, მოაშურა მტკვარსა ხიდზედ გასავლელადაო, ხიდი აყრილი დაუხვდა და შიგ წყალში ცვივდებოდეთ. იმდროინს მტრის ჯარიდგან ერთი თეთრ-ცხენიანი-კი როგორც იყო გამოვიდა ადიდებულს მტკვარში მეორე ნაპირას, დანარჩენები სულ დაიღუპნენო. ზოგნი ამასაც ამბობენ, რომ გაგვიგონია მოხუცთაგან, რა დღესაც ომი უნდა გამართულიყო, იმ დღეს ღილით ერეკლე მეფე წირვაზედ ბძანდებოდეო, საჩქაროდ შევიდნენ ეკკლესიაში და მოახსენეს: მეფეე, რას აგვიანებ, მტერი მოგვიახლოვდა, საცაა დაგვეცემაო, მაგრამ წირვა მაინც არ დასტოვა, როცა დასრულდა, ერეკლე ჯვარს ემთხვია, გამობძანდა, შეჯდა ცხენზედ და გაუძღვა ჯარსაო. რამდენად მართალია ეს გარდმოცემა, არ ვიცი, მხოლოდ ეკკლესია-კი ნაშდვილად დღესაც არსებობს იქვე, ასპინძის ახლო, სამხრეთით, ფოსტის გზასთან, ქვითკირისაა.

Д. ᲝᲜᲘ. თებერვალმა ძლიერ კარგი ამინდები დაიჭირა. ზოგიერთ სოფლებში თოვლი სულ ერთიანად გადნა და ხალხი ვენახებში გამოეფინა სამუშაოდ. მაგრამ დღეს, 23 თებერვალს, ცა მოიღრუბლა, ცივმა ქარმა შემოუბერა და საღამოს თოვა დაიწყო.

ᲬᲘᲗᲝᲗᲣᲠᲐ. სასამართლოს უფროსმა ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს როგორც ჭითურის მაზრის მცხოვრებთ, აგრეთვე შავის ქვის მწარმოებელთ. ყოველგვარი დავიდარაბა და საჩივარი საჩხერის სასამართლოში უნდა გაირჩეს ხოლმე და საჩხერე-კი ჭითურას 13 ვერსითა ჰშორავს. იმის გარდა, რომ მეტის-მეტად ცუდი გზებია ჭითურასა და საჩხერეს შუა, მეტის-მეტად ძვირადა ჭფასობს ყოველგვარი სანოვაგე საჩხერეში და იქ მოსაირულე ჭითურელს დიდი ხარჯი ეძლევა. ამ ორის წლის წინად ლაპარაკი იყო აღძრული იმის შესახებ, რომ კარგი იქმნება საჩხერის სასამართლო ჭითურაში იქმნას გადატანილიო, მაგრამ ისევ მალე მიჩუმდნენ და მიანებეს თავი. სამართლიანობა-კი მოითხოვს, რომ ჭითურაში იქმნას სასამართლო დაარსებული, რადგან იგი, იმას გარდა, რომ ყვირილის ხეობის შუა ალაგას მდებარეობს, რკინის გზითაც არის შეერთებული სხვა სოფლებთან, რომელიც დიდად აადვილებს მოგზაუ-

რობას. თუ ეს არ ხერხდება, კარგი იქმნება შავის ქვის მწარმოებელთ მაინც იშუამდგომლონ სადაც ჯერ არს, რომ დროებით მოვიდეს ხოლმე პიათორას სასამართლოს განყოფილება და ადგილობრივ გაარჩიოს საქმეები, როცა ამათი რიცხვი 40—60 მდის აღის. ამ გვარად სასამართლოსაც საქმის წარმობა გაუადვილდება და ხალხიც ასცდება უზომო ხარჯს პიათურიდგან საჩხერეში წოწიალის დროს.

⁂ ტფილისის მოგზრამ ითხეს ბელგიის განცხადებულ მოდიფიკაციაში, რომ ეს რამდენიმე ხანია ჩვენს მაღაზიაში და სავაჭროებგან, რომელიც ინარმეტზედა, ვიდაც საჭონელსა მპარავსო. ამისთანა ბელგიის განცხადებ, რომ ეჭვი ჩვენს მოსამსახურეზედ შუაზ ავიდა ჯანიანებზედ მაქვსო. რადგანაც მოდიფიკაციაში ეს ეთქვა, იგი ეამოტუდა და სთქვა, რომ ნაბარეი საჭონელი ფარსიდ სარეესოკს მიეგდეო. ეამოტუდა ეგრეთვე სარეესოკიც. ზოგიერთი ნეთი ბიდეც აღმოაჩინეს და პატრონს დეუბრუნეს.

⁂ 25 თებერვალს, ბელგიანინოვის ქუჩაზედ, ბურდელაშვილის ეზოსის სარდაფში შეეხეზარად ჩაგეფული უცნობი კაცი შეედა და 10 ბოთლი ეზინო მოეთხოვა. როდესაც ეზინო მოეგზავნა, უცნობმა სთხოვა, ბიჭი გამოეგზავნეთო და 8 მანეთი ფული გამოატანეთ, რომ თუმნის ნაცვლად მომცეს, რადგანაც წერილი ფული არა მაქვსო. ბურდელაშვილმა პატარა ბიჭს მეგობრად მოსამსახურე ბიჭისა გაუყოლა. უცნობმა ბიჭისგან ეზინოსა ბოთლი ეზინოზედ ფაიფაზედ და შეეზინოვის სახლეში შეეიდა, რომელსაც მეორე გასაეალიც აქვს, როდესაც უცნობი ეზოში შეეიდა, უნდოდ ბიჭისგან ეზინოს ფული და ფული გამოერთმია, მაგრამ ბიჭეკმა არ მისცა და გამოეცხადა, რომ შენ ფულისა და ეზინოს წართმეეა გინდა და მეორე კარებიდგან გასეალო. ეს რომ გაიგონა უცნობმა, ბიჭეკეეს დაუბარა, მაგრამ ბიჭეკეეი დეეწა, წაექცია და ცემა დეუწეო. ბოლოს უცნობი მაინც გაუსხლტა ბიჭეკეეს ხელიდგან და დაიმალა, უეფოდ ეს ეეკეე ემეწეიი იქნებოდა ამ 5 დღის წინად შეუმეინის ქუჩაზედ, ტარასოეის სარდაფში რომ შეეიდა, 10 ბოთლი ეზინო და ხეურდა 8 მანეთი მოსთხოვა. ეზიზედ პატარა ბიჭს ეზინო და ფული გამოართეა და სადღაც დაიმალა.

⁂ 26 თებერვალს, საღამოს 9 საათზედ, ავეკლის ქუჩაზედ ხაჩატეეეის სახლის ასავალთან პოლიციელმა ახლად დაბადებული ბავშეი იპოეა. ბავშეი საბეიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

⁂ 27 თებერვალს, საღამოს 9 საათზედ, გრიბოედოვის ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის შესართავთან მყოფ დუქანში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქე მიხეილ ბასილაძე, 52 წლისა. მიცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს სანანტომია განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

⁂ რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ გამრავლებულ იქმნა სამყურნალო ნაწილთა რიცხეი, ამიტომ 1 მარტიდგან ასე იქმნება განაწილებული მკურნალთ შორის ეს ნაწილები: 1 ნაწილის (ბაქო-სურაბნისა) მმართველ-გამგეობა მიენდობა მკურნალს ალექსანდრეს; 2 ნაწ. (ციფლი-ახალციხისა)—მკურნალს ლისოვს; 3 ნაწ. (მუხანი-ეკატერინოდარ)—მკურნ. მეხსს; 4 ნაწ. (ალიკენტ-დალ-მამეტლი, ალაბაშლი-ფოლლიარი)—მკურნალ შელცსს; 5 ნაწ. (ხაზალი-განჯისა)—მკურ. ვესელოვზოროვს; 6 ნაწ. (ტეგამი-ნავთლუხი)—მკურნ. მარკეეიჩს; 7 ნაწ. (ტფილისი)—საავადმყოფოს მკურნალს; 8 ნაწ. (ავეკლა-ბორჯომი, სადგ. ხაშეს გარდა)—მკურნ. აპარინს; 9 ნაწ. (ხაშეური-ძირულა და სურამი); მე 10 ნაწ. (ზორაპანი-რიონი, ჭიათურა-ტყიბულისა)—მკურნ. ნაზაროვს; 11 ნაწ. (ბუხანი-სამტრედიაფოთი)—მკურნ. მანოვეს და მე 12 ნაწ. (საჯეეახო-ბათუმი)—მკურნ. ორლოვსკის. მკურნალთ უნდა იცხოვრონ პირველმა ბაკოსა, მეორემ აჯიკაბულსა, მესამემ ქიურდამირსა, მეოთხემ და მეხუთემ განჯასა, მეექვსემ აკსტაფასა, მეშვიდემ ტფილისსა,—საავადმყოფოს მკურნალება, მერვემ ტფილისსა, მეცხრემ ხაშეურსა, მეათემ ქუთაისსა (დროებით), მეთერთმეტემ სამტრედიასა და მეთორმეტემ ბათუმში.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲫᲒᲐᲜ

იყო დრო, როცა ბლეხთა შესახებ მარტო ერთი ბრძანება ითქმოდა „გამოიტაო“, ამ სიტყვით მიჰმართავდა ყველა, ვისაც-კი საქმე ჰქონდა ბლეხთან, და ვიღას არა ჰქონდა საქმე ბლეხთან? მართალია, ეს დრო ხშირად ისევ იმეორება, მართალია, დღესაც „გამოიტა“ ხშირად ესმის ბლეხს დიდისაგანაცა და პატარასაგანაც, მტრისაგანაცა და მოყვარისაგანაც, მაგრამ ცოტა-ცოტა ამ „გამოიტას“ სიგძე სიგანე გაუსინჯეს და ათასში ერთხელ „გამოიტა“-ს მოკმედება დაიბრალეს. აგერ მეოთხე წელიწადი სრულდება, რაც გარდასახადთა ინსპექტორები დაინიშნენ მაზრებში. მთავრობის სურვილი იყო და არის, რომ ბლეხობას ხარჯი შეძლების დაგვარად გადაეხადნა და რამდენისამე წლის აუტანელის ხარჯის გადახდით, როგორც იტყვიან, ყუაზედ არ მიეყვანაო ბლეხობა, ანუ არ ჩაეგდოთ იმ მდგომარეობაში, როცა, ხარჯის გარდახდას კი არა, საკუთარის თავის კვებასაც ვეღარ შეიძლებდა, რომ სახელმწიფოს დიდ ბურჯი იმავე სახელმწიფოს სამწუხარო ტვირთად არ გადაქცეულიყო. ეს იყო მიზეზი გარდასახადთა ინსპექტორების დანიშვნისა და ამიტომ დიდად საყურადღებო უნდა იყოს ყველასათვის იმათი მოქმედება-საქმიანობა. რა თქმა უნდა, ყველასი ერთად, ანუ თითოეულის მოღვაწეობის საფასებით ბაცნობა შეიძლება, მათი სამოკმედო ანგარიშების განხილვის შემდეგ. ხოლო კერძოდ ნანახი და გაგონილი ნეკბას გვაძლევს ორიოდე სიტყვა ვთქვათ თულავის მაზრის გარდასახადთა ინსპექტორის შესახებ. აგერ $3^1/_2$ წელიწადია, რაც იგი ჰმოქმედებდა თელავის მაზრაში და დღეს გადაყვანილია მთავარ-მართებლის გამგეობის კანცელარიაში უმაღლესს ადგილზედ.

ბ-ნი პავლე გაბრიელის ძე კოროტკევიჩ-ბლატკი, თელავის მაზრის გარდასახადთა ინსპექტორი, იმ დროს იქმნა დანიშნული თანამდებობაზედ, როცა ადგილობრივი მთავრობა უმაღლესი მთავრობის განკარგულებისა თანახმად დარჩენილ გარდასახადთა გადახდევინებას შესდგომოდა. ამ საქმის ახლო ბაცნობამ დაანახვა გლეხის მდგომარეობა, მისი ავლა-დიდება, აწინდელი და სამერნოსო მისი ღონე და ძალა, მაგრამ მაინც ერთბაშად დანახულს არ დასჯერდა და დაწვრილებით შეუდგა გლეხის ყოფა-ცხოვრების ბაცნობას. ამისთვის საჭირო იყო თვით გლეხთან დაახლოვება და ენის ცოდნა, დაიწყო სოფლიდგან სოფლად სიარული; არ ერიდებოდა არც ავდარს, არც სიცივეს, არც სიცხეს, არც სოფლად უბინაობას, არც სოფლურ საჭმელ-სასმელს. იმისს ცხენს არც ქერი უნდებოდა, არც მომზელელი და არც ბინა. იჯდა ველოსიპედზედ და დაასრიალებდა. არც ჩაფარი დასდევდა თან, არც სხვა მოხელე. ხშირად გლეხთან ყოფაშ ენაც შეასწავლა. ამ ორის საქმით იგი დაუმბობილდა გლეხს. უკანასკნელი ჯერ უნდოდ უყურებდა, ვერ წარმოედგინა, რომ ამისთანა მოხელე ყველაფერს იკადრებდა და პირველად გიჟად მიაჩნდა, მაგრამ დღეს-ხვალობით შეიგნო მისი ჭკვათა-მყოფელობა და გადაუშალა თვისი წრფელი გული. სადაც-კი რა სატკივარი ჰქონდა, ყველგან მალამოს დადება გულით მოინდომა, რასაკვირველია, იქნება ზოგჯერ კიდეც შესცდა გლეხის სატკივრის წამლობაში, იქნება ზოგან შესაფერი მალამოც ვერ დაადო იმისს სატკივარს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი გლეხის სარგებლობით ხელმძღვანელობდა.

დაიწყო თითოეულის მეკომურის ყოფა-ცხოვრების აღწერა: მამაკაცნი და დედაკაცნი მეკომურისა, სანადელო თუ საკუთარი სასახლე და მისი სივრცე, საჭირნახულო მიწებ შორის რამდენია პურით, სიმინდით, ქერით, ფეტვით დათესილი, წლიური ამ ჭირნახულის მოსავალი, სივრცე სანადელო თუ საკუთარის ზვარ ვენახისა და მისი წლიური მოსავალი, შინაურ ცხოველებში სამუშაოს, მოცადის, მეწველის, ცხენის, ღორის და ცხვრის რაოდენობა, რაოდენობა სახელმწიფო ხარჯისა სასოფლო განწესებით. ასეთი აღწერა უკვე შეუდგინა რამდენსამე სოფელს; ამნაირის ცნობებით აღტურიელი მრავალჯერ გამოესარჩლა სოფლებს მთავრობის წინაშე და დაიხსნა დიდის გაჭირვებისაგან. ს. ნაფარეულზედ დიდძალი დარჩენილი გარდასახადი იყო, გარდახდევინებას უპირებდნენ მთავრობის განკარგულებით. ინსპექტორმა წარუდგინა საბუთები და მოახსენა მთავრობას, რომ სოფელ ნაფარეულის მიერ შემოუტანელი ფული, სამუდამოდ გარდაუხდელ ვალად უნდა ჩითვალოსო, ნასეტყვი სოფლები დაიხსნა ზეკუცილისაგან ხარჯის გარდახდა რავდენისამე წლით გაუნაწილეს და სხვ. დიახ, თურმე როცა უტყუარის საბუთებით მიჰმართავს კაცი მთავრობას გლეხთა შეწყნარებისათვის, ყოველთვის შეუსრულებს მთავრობა სათხოვარს! უტყუარი საბუთები-კი მუდამ ცხოვრების შუაგულს ჩაცილებულია, სადაც ხელის რეგა ბევრს ეჯავრება.

სამ წელიწად ნახევარი დიდი დრო არ არის მოღვაწეობისათვის, მაგრამ კაციც არის და კაციც: ზოგი ოც წელიწადსაც ვერ მოიტანს სარგებლობას, რამდენსაც სხვა სამს წელიწად-ნახევარს! არც ნაკისრებ მოვალეობის კეთილ სინდისიერად შესრულება უნდა ითვლებოდეს დიდ რადმე, მაგრამ რას იზამ, როცა კეთილ-სინდისიერად ნაკისრების შესრულება გაძვირდა და იშვიათი შეიქმნა.

25 ივნვარს, თელავის საზოგადოებამაც ღირსეულად დაადასა ბ ნი პ. გ. კოროტკევიჩ-ბლატკის მოღვაწეობა: გაუკეთა გამოსათხოვარი სადილი, ამ სადილზედ მოიგონა ყველი მისი სიკეთე ბლეხების მიმართ და დიდი მადლობა გარდაუხადა. ასეთ ერთობრივ, გულწრფელ სამადლობელ თანაგრძნობის გამოხატვა ქართველებისაგან რუს მოხელის მიმართ, როგორც ერთმა დამსწრეთაგანმა აღნიშნა, „ნამდვილი მოწმეა მისი, რომ სამართლიანი მოხელე ქართველებისთვის, რა ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, მუდამ სათაყვანებელიაო“.

ბ-ნ კოროტკევიჩ-ბლატკის ადგილზედ გადმოყვანილია ბ-ნი კახ-ძე. ჩვენ ისიდა დაგვრჩომია ვისურვოთ, რომ ბ მა კახიძემ. ისევე გაარძელოს ეს დაწყებული საქმე ტ იმედია გვაქვს, რომ იგი უფრო გულ-მოდგინედ მოეკიდეს ამ საქმეს, უფრო ნაყოფიერი იყოს მისი მოქმედება.

ნადიკვრელი

ᲓᲐᲑᲐᲓᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ

(მოწერილი ამბები)

ᲓᲐᲑᲐ ᲩᲮᲐᲠᲘ. წარსულის წლის იანვარისის თვის დამლეკეს დაბა ჩხარს ცეცხლი გაუჩნდა და ოდ-და-ათს დუქანზედ მეტი გადაიწვა. უმეტეს ნაწილად დაიწვა ბაზრის ის ნაწილი, რომელიც ხის შენობებით იყო გაშენებული და სიბინძურით გარემოცული. დაბის ამ ნაწილში ერთად-ერთი მისი ქუჩა ისე ვიწროა, რომ მეურმეებისთვის ეოველად შეუძლებელი იყო ერთი ერთმანეთისთვის გვერდის ასვლა; ამის გამო ამ ეოველთვის ბრასკვნობით, იარმუკობის დროს, მეურმეებსა და სხვა მოგაკრეებს შორის დიდი ალიკოთი, ლანძღვა-გინება და ხშირად კეტების რახა რუხიც მომხდარა ხოლმე. ცეცხლიანებს განადგურების შემდეგ პატრონებმა, რასაკვირველია, ნელ ახლა მოინდომეს დექნების აშენება და ამისი ეოველი არ იცხელებდათ, თუ როგორს ეკემასა და რასაგან უნდა აშენებულიეო ეს დექნები. ისინი მხოლოდ ამის ცდაში იყვნენ, რაც შეიძლება დუქნები მალე აეშენებინათ, რომ მეეურეები არ დაეფანტეოდათ და ამ გვარად ცეცხლზედ მდულარე არ დასხმოდათ. მართლაც, ზოგიერთებმა თითქმის მეორე დღეს წამოადგეს პატარ პატარა ქოხები უშენელეს ადგილს.

ეხლა, აღგილობრივმა წესიერებამ დამტკიცდა გამოეცხადა დაზარალებულთ: „თქვენი დაბა ეეკეკმოდ არის გაშენებული, ამ არც ქუჩები კარგა სიგიწროეის გამო, არც სახლებია ეკეკმოთ აშენებული და არც სისუფთაეკეკ დაცული, ამისთვიანის არავინ არა გაკეთ ნაბა ხის სახლები აეგოთ, უსათუოდ სახლები ქვისა უნდა აშენდეს და ქუჩებიც სიგანით ექ	ს სიეეინოდ ნაკლები არ უნდა იყოსო. წესიერების დამტკიცდის ამისთანა განკარგულებაზ ბეკრს არ ეპიტნავა, უმეტესს მოვარობასთანაც ბეკრმა ინიეეა, მაგრამ ადმინისტრაციამ მაინც თავისი გაიტანა. დღეს სწორედ სასიამოვნო შესახედავია დაბა ჩხარის ის ნაწილი, რომელიც ბარშან ცეცხლის მსხეერეზედან შეიქმნა. მშენიერი განიერი ქუჩა და ფაბაზ-ფამაზი დუქნები, უმეტეს ნაწილად ქვისა, აშენებულს ამ უბანს.

ამ მხრივ შარშანდელმა წელმა დაბა ჩხარი წინ წასწია, ხოლო სწავლა-განათლებას მხრივ ამოდენა დაბას არავითარი წარმატება და წინ სვლა არ ეტყობა. სწორედ გული გიკვდება კაცს, როდესაც ჩხვდები, რომ აქაური სომხის ვაჭრება და სამდედლოება თავისუფალს დრას სომხურ კაზეოებს კითხვით შეაქცევენ და ჩვენება-კი, არა თუ მოგაკრეება, არამედ აქაური ინტელიგენციაც, დად სავიზიოებად არა სთვლის ქართულ ეკეკნლა-კაზეოებას ბამოეწერასა და კითხვას. ქვემო იმერეთში და განსაკუთრებით ბურაში, ზოგიერთ სოფლებში ორ-ორი და სამ-სამი სკოლა დაარსებულა, აქვთ წიგნთ-საცავეკ და, ასე წარმოდგენილი, შეშნახეკეკ-გამსესებული კასეებიც და დაბა ჩხარში არამც თუ ამის, ერთის ქართულის წიგნის ხსენებასაც ეკრ გიგონებს კეკი. ერთიგ-ერთი სამრეკლო სკოლა, რომელიც არსებობს აქ, უფრო მომაკვდავს ადამიანს ემსგავსება, ეიდრე სიცოცხლით სავსე არსებასა. ამის მიზეზად, სხვათა შორის, ისიც უნდა დაკასხეკოთ, რომ ამ მეცხეკრეკის ტაძარს ამ ექვსიოდე წლის განმეკლობაში ოთხი მასწავლებელი გამოეცვალა და დღეს მესუთეკ.

წარსულმა წელმა დაბა ჩხარში მართლ-მადიდებელ მცხოვრებელს ის სიკეკეკ მაინეკ, რომ დაბა ჩხარის წმიდა გიორგის ეკეკლესიას საკუთარი მღვდელი დაენიშნა. თავდაპირველად ეს ეკეკლესია ორ შტატიანი იყო და წირვა-ლოცვა, თუ მედამ დღე არა, კვირა უმეტ დღეებში მაინც განუწყვეტლივ სრულდებოდა. ამ ტაძარში არამც თუ მართლ-მადიდებელნი ადალენდნენ თავიანთ მსურველე ლოცვა-ეკედრებას ღვთისა მიმართ, არამედ სომხებიც, რომლებიც აქ სამოც კომლს აღემატებიან.

ამ ათიოდე წლის წინედ ეს ძეირფასი ეკეკლესია, რომელშიაც წმიდა გიორგის სასწაეკთ მოქმედი ხატი ასვენია, სოფლის ჩხარის მცხოვრის ეკეკლესიას მაეწერეს და ამ გვარად შტატობა დაუკარგეს. შტატობის დაკარგვის დღიდგან ამ ეკეკლესიაში ღვთის მსახურება შეწყდა, ასე რომ მხოლოდ ბარასკეკობით იყო ხოლმე წირვა-ლოცვა. კვირა უმეტ დღეებში, დაბა ჩხარის წმ. გიორგის ეკეკლესიის ზარი დუმიდით იყო ხოლმე მოცეული. ამ გვარად დაბა ჩხარის მართლმადიდებელ მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი იძულებული იყო კვირა-უმეტ დღეები სამეკიტროებში გაეტარებინა და იქ „მრავალ-ეამიერი“ ეძახა ღვთის ეკდრების ნაცვლად.

ამ ბრა სასურეკელ გარემოებას წარსულის წლის ნოემბრის თეკნეი ებრძოლ რეკეზიაის დროს ეოკელად ესმიდეკდეოესმა ბესარიონ ეპისკოპოსმა ეკრეოკანი ეურნდეკეს მაქტეა და დაბა ჩხარის წმ.გიორგის ეკეკლესიის მრეკლს სკეკთარ მღვდელს დაჭმარდა. მაინც ეკეფეკეკმ თავიანი დაბრეკეა აეასრულა ეკდეკ. ასე და ამ გვარად ამ წლის თებერვლის პირველის რიცხვიდგან ჩხარის წმ. გიორგის ეკეკლესიას სკეკთარი მღვდელი დაენიშნა.

ამეკდა, პატივცეკეკული მოძღვარი წირვა-ლოცვის ხმირად შესრულებით ეენიდეკს სახელს აღეკეკენს მისდამი რწმენეკეკ ეკეკლესიას. —

მ. ფარცხნელი

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა უკვე შემუშავებული პროეკტი სახელმწიფო სამრეწველო გარდასახადის დაწესების შესახებ. პროეკტს სახელმწიფო საბჭოს მახლობელი სესსია განიხილავს.

— განზრახავ აქვთ შრომის მოყვარეთა სახლებთან დაბალი სავაჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქალებო საპროფესიონალო სასწავლებლები დააარსონ.

— მიმდინარე წლის 28 აგვისტოს დაბადებიდან 70 წელიწადი შეუსრულდება რუსეთის ცნობილს მწერალს გრ. ლ. ნ. ტალსტოის, რომელიც რუსეთის ყველა უნივერსიტეტის საპატიო წევრად ითვლება. ამავე დროს გრ. ტალსტოის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის თავი შეუსრულდება და ამ დღის სახსოვრად გრაფის ნიშის თაყვანის-მცემელთ განზრახვა აქვთ იმის სახელობაზედ პირველ-დაწყებითი საქალაქო სასწავლებელი დააარსონ ქ. მოსკოვში.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲘᲫᲘᲓᲒᲐᲜ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲛᲔᲚᲘ *)

დაბორა. ჩემს რწმუნებულს ზოლასა ჰსურს სიტყვის წარმოთქმა.

თავმჯდომარე. დიდის სიამოვნებით, სთქვას.

ზოლა. (წინ წამოდგება. ხელში დაწერილი ქაღალდი უპირავს, რომელსაც ჰკითხულობს). 22 იანვარს მინისტრ-პრეზიდენტმა მელინმა ჰბრძანა, რომ თორმეტ მოქალაქეს მივანდე ჯარის დაცვა, იმათ მე ვენდობიო. ეს თორმეტი მოქალაქე თქვენა ბრძანდებით, ბ-ნო მოსამართლენო. როგორც გენერალმა ბილიომ უბრძანა გაემართლებინთ ესტერგაზი, ისე ბატონს მელინს უნდოდა ებრძანებინა თქვენთვის მე დაგესაჯნეთ. ასეთი საქციელი სამრცხვინოა თავისუფალ ერისთვის, ამიტომ მე წინაალმდეგობას ვაცხადებ. ეხლა ვნახავთ, ბატონებო, დაემორჩილებით თუ არა მელინის ბრძანებას.

ჩემი პიროვნება ამ საქმეში არაფერს ჰნიშნავს, მე მზადა ვარ თავი მსხვერპლად დავდო. მე მხოლოდ ერთი საგანი მქონდა და ეს საგანი ის იყო, რომ თქვენ ხელთა ყოფილიყო მარტო ჯარისა-კი არა, მთელის საფრანგეთის ერის სახელისა და პატიოსნების დაცვა. მე ვეძიებდი სიმართლეს, ეს ჩემი გულითადი სურვილი იყო და არის. მაგრამ აქ თქვენ წინაშე ნება არ მოგვცეს, რომ ეს სიმართლე სავსებით გამოგვიშკარავებინა. ჩვენ და ჩვენ მოწმეებს პირს გვიკრავდნენ, არაფერს არ გვალაპარაკებდნენ და ჩვენს ნაცვლად თვითონა ბრძანებდნენ, რაცა ჰსურდათ.

მელინმა იცრუა, სიმართლეს გადაუხვია, როდესაც სთქვა ჩემს შესახებ, რომ ის ჯარს ამცირებსო. მე არასოდეს არ დამიმცირებია ჯარი, მუდამ პატივისცემით ვეკიდებოდა ჩვენს ჯარის-კაცებს, რომელთაც გაჭირვების დროს სამშობლოს დასაცველად მტრის ტყვიას მკერდი უნდა მიუშვირონ. ისიც ტყუილია, ვითომ მე ჯარის უფროსებს ცილსა ვწამებდი. თუ სამხედრო ბიუროში აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელთ მოქმედებაც გასაკიცხი და სამარცხვინოა, ეგ კიდე მთელის ჯარის დამცირებას და გამოუსადეგრობას არა ჰნიშნავს. მე ვამბობდი და ვამბობ, რომ შეურაცხება მიაყენეს ჯარს იმათ, ვინც ესტერგაზის ხელს ათმიგდა იმის საზიზღარის წერილების შემდეგ, შეურაცხება მიაყენეს ჯარს იმათ, ვინც გაიძახოდა: „გაუმარჯოს ჯარსაო“ და თან უმატებდა „გაუმარჯოს ესტერგაზის“, „სიკვდილი ურიებსაო“. სამარცხვინოა, როდესაც ის ხალხი, რომელსაც უთვალავჯერ გაუმარჯვნია, რომლის ძალა, ნიჭი და გენიოსობა მთელს ქვეყანაზედ არის განთქმული, ჰყვირის „გაუმარჯოს ესტერგაზის“-ო.

ჩვენ, საწყალ ხალხს, რამდენისამე თვის განმავლობაში გვატყუებდნენ სხვა და სხვა ზღაპრებითა და გეუბნებოდნენ, რომ ის შვიდი აფიცერი, რომელთაც დრეიფუსი განასამართლეს, არ შესცნებოდნენ, რომ შენდგა ურიათა ამბანაგობა, რომელსაც აზრად აქვს ფულის შემწეობით დაიხსნას მოდალატე ურიაო.

თქვენ, ბ-ნო მოსამართლენო, წარმომადგენელი ხართ ის დიდის პარიტისა, სადაც მე დავბადდე, იმ პარიტისა, რომელიც განუსაზღვრელად მიყვარს, რომელიც დაწვრილებით შევისწავლე და რომელშიაც ორმოცი წელიწადია ვმუშაობ.

მე სრულიადაც არა მსურს ჩემის თავის დაცვა, მე მხოლოდ სიმართლეს ვეძებ. თუ დამსჯიან, ამითი, დამცირების ნაცვლად, ერთი ორად უფრო ამამაღლებთ. სიმართლისა და ეროვნებისათვის დასჯილნი მუდამ ამაღლებულან. შემომხედეთ, ბ-ნნო მოსამართლენო, ნუ თუ მე გამყიდველის სახე მაქვს, სახე მატყუარისა, მოღალატისა? რა მაღელვებს მე? რამ გამოადგინა თავი? მე არც საპოლიტიკო მოღვაწე ვარ და არც რომელსამე დასს ვეკუთვნი. მე ვარ თავისუფალი მწერალი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მუშაობაში გაატარა და რომელიც ხვალ ისევ ამ მუშაობას დაუბრუნდება.

მე იტალიელს მეძახდნენ, ნამდვილად-კი საფრანგეთში აღვიზარდე და იტალიაში პირველად მხოლოდ მაშინ ვიყავი, როდესაც 54 წლისა შევსრულდი, ისიც მასალების შესაკრებად. ნუ თუ ის 40 ტომი, რომელიც მე დავწერე და რომელსაც ჩემი სიცოცხლე შევწირე, არ ამტკიცებს, რომ მე ფრანგი ვარ და საფრანგეთის დიდებისა და სახელისათვის ვმუშაობ?!.

მთავრობამ ერთი შეცდომა ჩაიდინა, ამ ერთს მეორე მოჰყვა, შემდეგ თავისის შეცდომის გასამართლებლად ცრუ საბუთები წარმოადგინა და ამრიგად საქმე გაძნელა, დახლართა და ყველას გზა-კვალი დაუბნია. ამ შეცდომების წყალობით მართალი კაცი დასჯეს, ხოლო მტყუანი და მოდალატე გაამართლეს. ეხლა კიდევ უნდათ მე დამსაჯონ, რადგანაც სამშობლო განსაცდელში ვნახე და სიმართლის გულისათვის ხმა ამოვიღე. დამსაჯეთ! ამისი დარდი და წუხილი არა მაქვს. იმ მრავალ შეცდომას ამით ერთს შეცდომასაც მიუმატებთ. მე მხოლოდ იმასა ვწუხვარ, რომ ჩემის დასჯით სიმშვიდეს ვერ ჰმოაგდებთ, სამშობლოს ვერ დაიწყნარებთ, არამედ უფრო აღელვებთ და აშფოთებთ.

ჩვენ გვისაყვედურებენ, სამშობლოს აღელვებთო! ჩვენ-კი არ ვაღელვებთ, ისინი აღელვებენ, ვინც სიმართლეს ხელს აფარებს და არ აუშკარავებს. შერერ-კესტნერი ეხვეწებოდა მინისტრს, საფრანგეთს განსაცდელში ნუ ჩაგდებო, პიკარმა ყველას აუწყა, რომ საპიროა საქმის ხელ-ახლად გადათვალიერებაო, მაგრამ ყურის მგდებელი არავინ აღმოჩნდა!

ყველგან გაისმის დრეიფუსისა, დრეიფუსის საქმეო! არა, ბატონებო, დრეიფუსი და იმის საქმე აღარსად მოსჩანს. ეხლა სულ სხვა რამ არის გამოსარკვევი და დასმტკიცებელი. ეხლა უნდა გავიგოთ საფრანგეთი, ის საფრანგეთი, სადაც ყოველთვის დაცული იყო კაცის უფლება? ის საფრანგეთი, რომელმაც თავისუფლების პატიოსნების და სიმართლის დროშა აიფრიალა? არის თუ არა ჩვენი ერი ისევ ისე ყველაზედ თავისუფალი, ყველაზედ უფრო ძმათა მოყვარული და ყველაზედ გულ-უბვი ერი, როგორიც წინად იყო? თქვენს ეროვნებრივ და სიმართლით აღსავსე მსჯავრს, ბ-ნნო მოსამართლენო, შეუძლიან ამის დამტკიცება; ხოლო თუ თქვენც სიბნელეს სიბნელე მიუმატეთ, მაშინ საქმე ერთი ორად უფრო გაძნელდება და საფრანგეთის სახელი უფრო დამცირდება. მარტო მე არა ვარ ამ აზრისა! ჩემს გარდა, მრავალი ლიტერატორი, მეცნიერი, ფილოსოფოსი ასეთისავე თვალით უყურებს ამ საქმეს. ბევრი უცხო ერიც-კი ჩემსავით ჰფიქრობს. ყველა უცხო ერი არ არის ჩვენი მტერი. ჩვენი მხარე უპირავთ დიდ რუსეთს, პატარასა და უხვს ჰოლანდიას, მშვენიერს შვეიცარიას, სადაც ფრანგული ენაა დედა-ენად. თქვენ გინდათ საფრანგეთი განაცალკევოთ და ამათაც დაეშოროთ! ნუ თუ ის გინდათ, რომ როდესაც ჩვენის სამშობლოს საზღვარს გავცდებით, ყველამ სასაცილოდ აგვიგდოს ჩვენცა და ჩვენი სამართალიც?

იქნება ჰფიქრობდით და მოელოდით, ბატონებო, რომ დრეიფუსის გამამართლებელი საბუთები ზეციდგან ჩამოვარდებოდნენ. კარგად ვიცით, სად ინახება ეს საბუთები, სად შეიძლება იმათი პოვნა, მაგრამ არ გვინდა ამ საქმეში საზღვარ-გარეთლები ჩავრიოთ. ყველა საელჩომ კარგად იცის, დრეიფუსი დამნაშავეა, თუ არა?!.

მე ვფიცავ ყველაფერს, რომ დრეიფუსი მოღალატე არ არის. მე ვფიცავ თქვენს, ერის წარმომადგენელთა წინაშე, ამ სამართლის ტაძარში; ვფიცავ ჩემს პატიოსნებას, ჩემს სიცოცხლეს, ვფიცავ იმ ორმოცს წელს, რომელიც მე მუშაობაში გავატარე, რომ დრეიფუსი მოღალატე არ არის.

ყველანი ჩემი წინაალმდეგნი არიან: პარლამენტი, სასამართლო, სამხედრო მთავრობა, გაზეთები და უმეტესობა აღელვებული საზოგადოება, მაგრამ მე ამას არ შევეშინდები, ის მანუგეშებს, რომ სიმართლეს, ეროვნებას ვეძიებ და ამიტომ დამშვიდებული ვარ.

მე მინდოდა, რომ ჩემი სამშობლო უსამართლობასა და სიცრუეს ამეცდინა. შეგიძლიანთ ეხლა დამსაჯოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოდესმე საფრანგეთი მადლობას მეტყვის: მე იმისი პატიოსნება დავიცავი.

ამითი დაამბოლოვა ზოლამ თავისი სიტყვა.

გ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 43.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘᲡ ᲑᲐᲣᲛᲒᲐᲠᲢᲜᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ *)

„მსოფლიო ლიტერატურის ისტორია“, ალექსანდრე ბაუმგარტნერისა, ტ. I. ფრეიბურგი, 1897 წ. (გერმანულს ენაზედ).

„სომხური ენა, როგორც სირიული ენა, მხოლოდ ქრისტეს დაბადების შემდეგ შეიქმნა ლიტერატურულ ენად. მაგრამ ამ დრამდის სომხური ენა დიდი ხანი არსებობდა და ამ ენაზედ მრავალი გარდმოცემა და სიმღერა იყო.

„სომეხთა უუძველესი თქმულებანი და გარდმოცემანი მოთავსებულნა მოსე ხორენელის „ისტორია“-ში. პირველი და მეორე წიგნი ამ შესანიშნავის თხზულებისა შეიცავს სალეგენდო ისტორიას, რომელსაც საძირკვლად დაედო ამ ხალხის უუძველესი თქმულებანი და გარდმოცემანი სწორედ ისე, როგორც ფირდუსის დიდ საერო ეპოსს საძირკვლად დაედო სპარსული წიგნი მეფეთა. ზოგიერთი ბალლადა და საგმირო სიმღერა კიდევ იცნობება თავისის ისტორიიულის გარეგნობით, ხოლო სხვანი თავისუფალ პროზად იქმნა გადაკეთებული და გაფართოვებული. ჯერ არ არის გამორკვეული, ეს ბალლადები და სიმღერები სრულ ეპოს შედგენს თუ არა.

„სომეხთა თქმულების ერთი უმთავრესი გმირი მეფე ტიგრანია. როგორც თვით მოსე ხორენელი ამბობს, ძველი სიმღერები იმას ვასპურაკანის პროვინციაში გოლტნის ოლქში შეუკრებია. ეს ოლქი განთქმული იყო თავისის ღვინით და მცხოვრებელთა სიმხიარულით. იქ მომღერალთა ცალკე ამქარიც-კი არსებობდა, რომელიც სხვა-და-სხვა საკრავებზედ სცეკვავდა და თან ძველს საგმირო სიმღერებს ჰმღეროდა ხოლმე. ამ სიმღერათა ნაწყვეტები, რომელთაც მოსე ხორენელი გადმოგვცემს, იმდენად მცირეა, რომ ძნელია იმათ შესახებ გადაწყვეტილის აზრის წარმოთქმა. მაგრამ მთელი წიგნი თქმულებათა, როგორც იგი შედგენილია, სჯობს სპარსულ მეფეთა წიგნს, სიმდიდრითა და პოეტურის სიმშვენიერით კი არა, არამედ სიძველითო, რადგანაც სულ ძველი თქმულება პირველდელ დრამდის ადის, ხოლო ბოლონდელი თქმულება შეეხება ერთს ომს ალანელებთან, რომელიც იყო 100 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე.

„ჩაწერილია თუ არა ეს თქმულებანი, ხოლო თუ ჩაწერილია, რომელს ენაზედ, ამის შესახებ ცნობები არ არის. სომხური ენა ინდო-გერმანულის შთამომავლობისაა. თუმცა სომხებს ხშირი მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონდათ სპარსელებსა, სირიელებსა და აზიელ ბერძნებთან, სომხური ენა თავისებურია და მდიდარია ფორმით.

„სომეხთა ქრისტეანულ ლიტერატურის დამაარსებლად უნდა ჩაითვალოს მესროფი, რომელმაც დაახლოვებით 406 წელს შეადგინა სომხური ანბანი. მესროფის ზოგი შედგრდი გაგზავნილ იქმნა ალექსანდრიაში, ხოლო ზოგი — ედესასა, ათინასა და კონსტანტინეპოლში. დაახლოვებით 410 წელს დასრულდა დაბადების პირველი თარგმანი. ამავე დროს შედგენილ იქმნა სომხური წერილის წესი. როდესაც ეს შემდეგ დაარსებულ იქმნა სკოლა, სადაც მოსწავლენი სწავლობდნენ ბერძნულ ლიტერატურასა და სთარგმნიდნენ ბერძნულიდგან სხვა-და-სხვა თხზულებას.

„სომეხთა ასეთი სწრაფი წინ-სვლა და ბარბაროსობიდგან მაშინდელ განათლებამდე ამაღლება შეუძლებელი იყო, თუ რომ არ აღმოჩენილიყვნენ მრავალნი დიდად განათლებულნი კაცნი, რომელნიც ბერძნულს წიგნებს სომხურს ენაზედ სთარგმნიდნენ და საბერძნეთის განათლებას სომეხთაში ავრცელებდნენ. ზოგიერთი მაშინდელის თარგმანებისა ამ უკანასკნელ დროსაც-კი იქმნა გამოცემულნი. დარჩენილი ნაწყვეტები ჰმოწმობენ, რომ სომხებისათვის უცნობნი არ იყვნენ ჰომეროსი და საბერძნეთის ტრაგიკოსები. მაგრამ საქმე თარგმანებზედ არ შეჩერდა, მალე ისეთი მწერლებიც აღმოჩნდნენ, რომელთაც სომხურს ენაზედ ორიგინალ თხზულებების წერა დაიწყეს. ელიშე თავისს „ვარდანის ისტორიაში“ აღწერს სომეხთა ბრძოლას სპარსელებთან დიდის აღტაცებით და დრამატიულის სიცხოველით. ფარპაელმა ლაზარემ შეადგინა სომეხთის ისტორია 338 წლიდგან 485 წლამდე. ბიზანტიელმა ფაუსტმა დაახლოვებით ესევე ხანი აღწერა, ხოლო კორიუნმა — მესროფის ცხოვრება.

„ამის მიუხედავად არც ერთი ამ უძველეს მწერალთაგანი არ გახდა სომხების საყვარელ მწერლად გარდა უკვე დასახელებულისა, რომელსაც გარდმოცემა მე-9 საუკუნიდგან დაწყებულ უწოდებს მოსე ხორენელად და რომელმაც, „სომეხთის ისტორიის“ გარდა, დასტოვა „საზოგადო გეოგრაფია“ და „რეტორიკა“. თვით მოსე თავისს თავს სომეხთა ლიტერატურის ორ დამაარსებელთა — დიდის ვაგაკის და მესროფის მოწაფედ უწოდებს. ვაგაკ დიდმა და მესროფმა, როგორც იგი მოგვითხრობს, გაგზავნეს 431 წელს მოსე ალექსანდრიაში საბერძნეთის ლიტერატურის შესასწავლად. გზაზე მან ჰნახა ედესსა და პალესტინა, ხოლო უკან დაბრუნებისას რომსა, ათინასა და ვიზანტიაში იყო.

„ნემენცების მეცნიერთა უკანასკნელის გამოკვლევით „სომხეთის ისტორია“ შედგენილი უნდა იყოს ბოლონდელ დროის მწერლისაგან, რომელიც, გუტშმიდის აზრით, მე-7 საუკუნეში სცხოვრობდა.

„როგორც ჰეროდოტეს და ტიტლივის, მოსე ხორენელს აზრად არა ჰქონდა შეედგინა სწორე და უნაკლულო ისტორია. ამ მხრივ „სომეხთის ისტორიას“ ბევრი ნაკლულოვანება აქვს. შინაარსითა და კილოთი იგი წაგავს დიდს საერო ეპოსს, რომელშიაც წარსული საქმენი აღწერილია თამამად და გმირულად, აღტაცებულისა და მშვენიერის ენით.

„მეტად შესანიშნავია გოდება და ჩვილი, რომლითაც მოსე ხორენელი, არშაკიდების დაცემის აღწერის შემდეგ, ასრულებს თავისს წიგნს. მეცნიერებას არ ჩაუკლავს მოსე ხორენელის გულში ღრმა გრძნობა და ლირიკულ ადგილებთან შეხვდებით იმისს ნაწერში ეპიკურ და ისტორიულს ადგილებს.

*) ამავე მწერლის აზრი ქართულ ლიტერატურის შესახებ დაბეჭდილი გვქონდა „ივერიის“ № 31.

ეს ეპიკურისაკენ მისწრაფება სომეხთა შორის მეტად საყურადღებო და შესანიშნავია, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ იმ მშვიდობიანობას, რომელიც საჭიროა ხელოვნებისა და განსაკუთრებით პოეზიის განსავითარებლად. მათ შორის ნამდვილი ეპიკური მწერლები არ მოიძებნებიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ბევრმა ნიჭიერმა კაცმა განაგრძო თავისის ხალხის ყოფა-ცხოვრების აღწერა. ძნელად შესახვედრია ისეთი ხალხი, რომლის ლიტერატურაშიაც ისტორიას ისეთი ფართო და საპატიო ადგილი ეჭიროს, როგორც სომეხთა ლიტერატურაში უჭირავს. თითქმის ყველა საუკეთესო მწერლები შემდეგ დროისა ისტორიკოსებიც იყვნენ.

„ზენობ გლაკმა და იოანე მამიკონელმა შეადგინეს „ტარონის ისტორია“; ვეპოსმა—„სომხეთის ისტორია“ (590—660); გევონდმა არავიღლა მიერ სომხეთის ნაწილების დაპყრობის ისტორია (661—788); იანე VI ქათოლიკოსმა—საზოგადო ისტორია, წარღვნიდგან დაწყებული 925 წლამდე; თომა არწრუნიმ—თავად არწრუნთა ისტორია 936 წლამდე (შემდეგ 1226 წლამდე იქმნა დაწერილი); მესროფმა—ნერსეს დიდის ისტორია და სომხებისა და ქართველების ისტორია; მოსე კალანკატუელმა—ალბანელთა ისტორია; სტეფანე ოზალიხმა—ქრონიკა 1004 წლამდე; არისტაკოს ლასტივერტმა—ისტორია 989 წლიდგან 1071 წლამდე; მათეოს ურგელმა—ისტორია 952 წლ. 1136 წლამდე; მიხეილ ვირიელმა—მსოფლიო ქრონიკა 1198 წლამდე; ვარდან დიდმა ქრონიკა 1267 წლამდე; თომა მეცოფმა—თამარის ისტორია და მრავალი სხვა.

„ყველა ეს ისტორიული თხზულება, თუმცა სხვა-და-სხვა ღირსებისაა, მაგრამ ერთად შეიცავს არამც თუ სომეხთა ხალხის ცხოვრების სრულ ისტორიულ სურათს, არამედ ისეთს ცნობებსაც, რომელიც დიდად საყურადღებო და შესანიშნავია მსოფლიო ისტორიისათვისაც.

„სასულიერო პოეზიაში ღირს შესანიშნავია საეკლესიო საგალობელთა წიგნი ანუ „შარაკანი“. მე-5 საუკუნეში საუკეთესო პატრიარქები და მწერლები ჰშრომობდნენ ამის შესადგენად. ეს წიგნი დასრულებულ იქმნა მე 14 საუკუნეში. „მე-12 საუკუნეში უფრო შესანიშნავი მწერალი იყო ნერსეს IV, რომელსაც ენის სიმშვენერის გულისთვის „შნორალს“, ანუ მოხდენილს უწოდებენ. იმისი „ლოცვები ყოველის ჟამისა“ მხითარისტებმა 24 ენაზედ გამოსცეს. მანვე დასწერა ლექსად სომხეთის ქრონიკა. ისტორიული მნიშვნელობა აქვს იმის გოდების საგალობელს ემადედინის ემირის მიერ 1144 წელს ედესის აღების შესახებ. ლანგლუა (Sanglois) ამ თხზულებას სომეხთა „ფენელოს“ უწოდებს. სომხებსა ჰყავთ აგრეთვე თავიანთი ლაფონტენიც. ვარდან დიდმა დასტოვა ზღაპართა კრებული, რომელსაც ზოგიერთი ღირსება აქვს. მე-14 საუკუნიდგან სომეხთა ლიტერატურამ დაქვეითება დაიწყო, ხოლო იგი იხსნა გადასახლებულთაგან საშშობლოს სიყვარულმა. მე-16 და 17 საუკუნეებში დაარსებულ იქმნა ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქში სომხური სტამბები, სადაც იბეჭდებოდა ძველი თხზულებანი. ამ სტამბათა შორის საუკეთესო ამსტერდამში იყო.

„სომხების ახალის ლიტერატურის დამაარსებელი და ამაღორძინებელი იყო მხითარი, რომელმაც გაჰმართა ვენეციაში მხითარისტთა კონგრეგაცია. 1788 წელს ვენეციის მხითარისტებმა გამოსცეს სომხურს ენაზედ 800 და სხვა ენებზედ 200 ძველი თხზულება. ამის გარდა მხიტარტებმა გამოსცეს მრავალი ახალი, მათ მიერვე ანუ სხვათაგან შედგენილი წიგნი. ვენის მხითარისტთა მიერ გამოცემული თხზულებათა რიცხვი 500 აღემატება. ვენის მხითარისტები წინად უფრო სასულიერო შინაარსის წიგნებსა სცემდნენ, ხოლო შემდეგ ხელი მიჰყვეს ყოველ-გვარ სამეცნიერო, ისტორიულ და ლიტერატურულ თხზულებას, აგრეთვე დიდთა პოეტთა ნაწარმოებთა თარგმნასაც, როგორც, მაგალითად, ბაირონსა, შილერსა და სხვათა. მხითარისტთა შორის უფრო შესანიშნავნი იყვნენ ავეტიქიანი-ფილოლოგი, ვარშუხიანი მთარგმნელი და პოეტი, აივაზოვსკი და ალიშანი დიდად ნასწავლნი ისტორიკოსნი და ფილოლოგნი. ეს უკანასკნელი პოეტიც იყო.

„ამ მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევარში მხითარისტთა მნიშვნელობა დაეცა, რადგანაც მრავლად გამოჩნდნენ საერო მწერლები, რომელთაც დააარსეს გაზეთები და თეატრები, შეჰქმნეს ხელოვნური მწერლობა და ამიერიდგან სომეხთა ლიტერატურა ევროპის ლიტერატურის საზოგადო განვითარების გზას დაადგა. 1832 წლიდგან 1893 წლამდე მარტო კონსტანტინეპოლში სომხებს 20 დღე გაზეთი და ჟურნალი ჰქონდათ. ევროპის ლიტერატურის ახალის კლასიკურის ნაწარმოებთა უმრავლესობა უკვე გადათარგმნილია სომხურ ენაზედ და ამ რიგად ამ ნიჭიერმა ხალხმა, რომლის პირველი ლიტერატურული ნაშთნი ჯერ ისევ ხალხთა გადასახლების ხანაზედ ადრინდელს დროს ეკუთვნის, კვლავ დაიპირა საპატიო ადგილი ახალს ლიტერატურაში“.

ნაკვეთი

— როგორ მოგწონთ მოუტი რითმაე?

— სამი დიდი ნაკლი აქვს: პირველი, ოთველოვის, ყველას და ყველგან თავისს ლექსებს ეგონოს; მეორე, შეტად სამაბელი კითხვა იცის და, მესამე, ისეთს ლექსებსა სწერს, რომ იმათი წაკითხვა-ც ორა ჭდირს. სხვაფრივ-კი ორა ეჭირს-რა.

ეუროპა-ბაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

საფრანგეთის მკურნალების შემოსავალს ვერაფერ დაჰბარბდება. მკურნალთა რიცხვი თანდათან მრავლდება და მათს შემოსავალს და ცხოვრების სახსარსაკი აკლდება. პარიეის 2500 მკურნალთა შორის 1,200 კაცი თავისის შრომის ჯილდოდ ძლივს იღებენ იმდენს, რომ თავი ირჩინონ. პროვინციებში მკურნალთა მდგომარეობა უფრო ნაკლებად კმასაყოფელია. ნახევარს ძლიერ უჭირს ცხოვრება. სოფლად-კი მკურნალს თითქმის სულ არა აქვს შემოსავალი, თუმცა სოფლის თითო საზოგადოებაში ერთს მკურნალზედ მეტი არ არის.

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ საფრანგეთის მკურნალთ ორთა შუა რიცხვით წელიწადში 3,000 ფრანკზედ მეტი შემოსავალი არა აქვს. მიუხედავად ამისა საფრანგეთის ახალგაზდობა ძლიერ ეტანება სამკურნალო ფაკულტეტს. 70 წლებში სამკურნალო ფაკულტეტებზედ სწავლობდა 4,000 სტუდენტი და ეხლა 8485 სტუდენტი სწავლობს. ამ გვარად ყოველ წელს საფრანგეთს ემატება 1,200 ახალგაზდა მკურნალი და მათ შორის ნახევრიც ვერ შოულობს სამსახურს და ცხოვრების სახსარს.

***

ერთი რუსული გაზეთი სწერს, რომ ერთს ვარშაველს მეზანიკოსს გამოუგზონია ტელეფონი, რომლის შემწეობითაც ყრუს შეუძლიან ლაპარაკი, იგივე გაზეთი დასძენს, რომ ეს ახალი მანქანა ბევრით არაფრით არის შესანიშნავი. მანქანას მცოდნე კაცები მალე გასინჯავენ.

***

ყველამ კარგად იცის, რომ საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვს დიდი ხანია აღარ ემატება და ჰშობობენ, პირ-იქით მცხოვრებთა რიცხვს თანდათან არ მოაკლდესო. ამიტომ მთავრობას მრავალი პროექტი მოსდის შესახებ იმისა, როგორ უნდა ვეცადოთ საფრანგეთის მცხოვრებთა რიცხვის მომატებასო. სხვა პროექტთა შორის ეიღაც ლანტიე შემდეგი ახირებული პროექტი წარუდგენია პალატისათვის. საფრანგეთის კანონმდებლობის ძალით, თუ დედაკაცმა თავისი ახლად დაბადებული შვილი მოჰკლა, უნდა დაისაჯოს და კატორგაში გაგზავნოს. ლანტიე ამბობს, ამ დასჯის მაგიერად დავავალოთ დამნაშავე დედაკაცს, რომ კატორგაში მუშობის მაგიერ, ერთი, ორი ან სამი სხვა შვილი გაჩინოს. კომისიას, ეტყობა, ეს ახირებული პროექტი მოსწონებია და გადაუცია შინაგან საქმეთა მინისტრისათვის განსახილველად.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

26 თებერვალი

ვაშინგტონი. სენატმა ერთხმად და უკამათოდ შეიწყნარა კრედიტი 50 მილიონ მანათისა სახელმწიფოს დაცვისათვის.

მაკ-კინლეიმ ხელი მოაწერა სახელმწიფოს დაცვისათვის 50 მილიონის გადადების კანონ-პროექტს. ამ გვარად ეს კანონ-პროექტი კანონად გადიქცა.

პარიეი. ორას დეპუტატთა კრებამ ჯადასწვიტა სამხედრო სამსახურის ვადა შემცირებულ იქმნას ორ წლამდეო და ეს პროექტი უნდა წარუდგინოს მთავრობას განსახილველად.

ბოგბეი. ორს სანიტარს უნდოდა შეეტყო მიზეზი ერთის ქალის ავადმყოფობისა და ამ ამბავმა უშესოება გამოიწვია. სასანიტარო მოხელენი ავადმყოფის ხახლში არ შეუშვეს. მყისვე შეიკრიბა ხალხის ბრბო, რომელმაც ქვები დაუშინა მოხელეებს. მოხელეებმა პოლიციელებს მიჰმართეს საშველად. შეიარაღებულმა პოლიციელებმა მოხელეები ისევ ავადმყოფის სახლამდე მიაცილეს. კვლავ ითხოვეს, ავადმყოფი გაგვაინჯეთო, მაგრამ ხალხი ისევ უარზე დადგა და ხელიც შეახეს სანიტარებს. მაშინ პოლიციამ ძალას მიჰმართა. ოთხი მაჰმადიანი მოკლულ იქმნა, რამდენიმე დაიჭრა. ეს ამბავი ელვასავით მოეკო ხალხს. ინდუსები მაჰმადიანებს მიემხრნენ და არც ერთი ქრისტიანი, რა ტომისაც უნდა ყოფილიყო, უვნებლად არ გადარჩა, ვინც იმათ ხელში ჩავარდა. მრავალს სცემეს კიდეც; ორს ევროპიელს ჯარის კაცს ისე სცემეს, რომ სიკვდილის პირას მიაკედეს. ბიკულას მახლობლად ბრბო თავს დაეცა სახლებს; ამ სახლების მცხოვრებნი ფანჯრებიდგან თოფებს სცლიდნენ. მოსაშველებლად საჩქაროდ ჯარი მოვდა ორის ზარბაზნით. ხალხი ყველგან აღელვებულია.

27 თებერვალი

პეტერბურგი. 26 თებერვალს გარდახდილ იქმნა მოსახსენებელი წირვა პეტრე-პავლეს სობოროში განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III დაბადების დღეს. დასწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და მთავრინანი.

ათინა. პალატის მიერ შეწყნარებული კანონი საფინანსო კონტრალის შესახებ მეფემ დამტკიცა.

სოფია. საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნა დიდის ამბით პანაშვიდი სოფიის ეკონომოსის მიერ კონსტანტინეპოლში ამას წინად მოკლულ მაკედონსკის სულის მოსახსენებლად. მაკედონსკი რედაქტორი იყო ბულგარიის გაზეთის „ნოვინასი“.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან.

საზოგადოებამ 1898 წლის იანვრის განმავლობაში მიიღო:

ა, საწერო ფული

1, ალექსანდრე დავითის ძე ზუბალოვისა	6 მ.
2, ბესარიონ ვასილის ძე ლოსაბერიძისა	6 მ.
3, იღუმენია ნინოსი	6 მ.
4, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მაცაშვილისა	6 მ.
5, პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილისა	6 მ.
6, ეკატერინე გრიგოლის ასული მეხსისა	3 მ.
7, მღვდლის დიმიტრი ჯანაშვილისა.	6 მ.
სულ	39 მ.

ბ, ყულაბებით შეგროვილი

	მ.	კ.
1, ოლგა ნიკოლოზის ასულის მესხიეისაგან	10	23
2. ელისაბედ ნიკოლოზის ასულის ყაზბეგისაგან	11	67
3, „ივერიის“ რედაქციისგან	6	84
4, სოფია ლომაურისგან	3	71
სულ	32	45

გ, შემოწირულება

1, ბ-ნის ჯაფარიძისგან განჯაში ალილოზედ შეგროვილი	17	მ.

საზოგადოება დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთა.

განცხადებანი

ვეიდულოგ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერუელობასა.

ფოტოგრაფი ს. ს. როინაშვილი.

(წ.)



(4—3.—3)

Ф. Ф. აუფერმანის

მანქანათა საწყობი



ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

ქალაქ სიღნაღში

ამირან სერგეის ძე შავერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

ფიგვის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წაგნები:

	ფან.	კაპ.
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ქ. ნიკოლაძის ნაწერები	„	30
კეთილი ძაღლი	„	20
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ჟორდანიისი	3	„
ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია	„	15
ამირან-დარეჯანიანი	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა საღარაძისა	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა	„	60
გედები. საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად	„	25

Дозволено цензурою, Тифлисъ 27-го Февраля 1898 г. სტამბა შ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.